თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ფათვა და ჯიჰადისტური ისლამისტური დაჯგუფებები

აბსტრაქტი

რადიკალურმა ისლამმა და ისლამისტურმა ჯიჰადისტურმა ორგანიზაციებმა ისლამის რელიგიური დოქტრინები და იდეოლოგიური ნარატივები საკუთარ იდეოლოგიას მოარგო და ბრძოლის ტაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილად აქცია.

ისლამის რელიგიურ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ფათვები ანუ რელიგიური განკარგულებები, რომელსაც ისტორიის განმავლობაში გამოსცემდნენ სხვადასხვა მუსლიმი სასულიერო პირები ანუ მუფთები. ფათვების შინაარსი განსხვავებული იყო და ეხებოდა სხვადასხვა საკითხს, შესაბამისად ისლამის ისტორია მრავალფეროვანი ფათვებითაა სავსე.

სტატიაში განხილულია ისლამისტური ჯიჰადისტური დაჯგუფების ალ-კაიდას ლიდერის უსამა ბინ ლადენის ფათვები, რომელსაც "ლადენისეულ ეპისტოლეებსაც" უწოდებენ.

კვლევა ეყრდნობა ფათვების ტექსტების ენობრივ ანალიზს. დეტალურად გაანალიზებულია ის ენობრივი სტრუქტურა, ფრაზები, ციტირებები ყურანიდან თუ სხვა წყაროებიდან, კონცეფციები, რომელიც ამ ფათვებშია გამოყენებული. კვლევაში შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიით შესწავლილია უსამა ბინ ლადენის 1996 და 1998 წელს გამოცემული ფათვები და ის კონცეფციები რომელიც საფუძვლად დაედო ალ-კაიდას ძალადობრივ იდეოლოგიას.

საკვანძო სიტყვები: *ფათვა, ჯიჰადი, მუფთი, ჯვაროსნები, მუჯაჰიდი*

თანამედროვე მსოფლიო რამდენიმე განსაკუთრებულ ფათვას [1] იცნობს, რომლის ავტორები უმაღლესი სასულიერო პირები ან ჯიჰადისტური ისლამისტური დაჯგუფებების ლიდერები არიან. 1989 წელს ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა "სატანური აიების" ავტორ სალმან რუშდის; 2004 წელს იუსუფ კარადავიმ გამოსცა ფათვა, რომელშიც მოუწოდებდა მუსლიმებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ამერიკული და ისრაელური საქონლისთვის. ამერიკის საწინააღმდეგო ფათვებით გამოირჩეოდა ალ-კაიდას ლიდერი უსამა ბინ ლადენი.

თანამედროვე ისლამისტური დაჯგუფებებიც საკუთარ მიმდევრებთან საკომუნიკაციოდ რელიგიურ განკარგულებებს ანუ ფათვებს იყენებენ.

---

[1] ფათვა - საღვთისმეტყველო-სამართლებრივი განკარგულება, რომელიც შარიათის რომელიმე მითითებას ან კაზუსს განმარტავს. ფათვას ავტორი არის მუსლიმური სამართლისმცოდნე პირი ან პირთა ჯგუფი (გელოვანი ნანა, შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თბილისი, 2024), 155.

არაბულ ენაში ტერმინი "ფათვა" მომდინარეობს ძირიდან "ფათა", რაც ქართულად ნიშნავს "ახალგაზრდას, უახლესს, ახსნას". ყურანში ეს სიტყვა ორი მნიშვნელობით გვხვდება: "საბოლოო პასუხის მოთხოვნა"[2] და "საბოლოო პასუხის გაცემა"[3].

ფათვას კონცეფციის ჩამოყალიბება ისლამის ისტორიაში ჯერ კიდევ მოციქულ მუჰამადის პერიოდს უკავშირდება და წარმოადგენდა მოციქულის მიმდევრების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელიც სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა.[4] იმ პერიოდის ფათვების სტილი ძირითადად კითხვა-პასუხზე იყო აგებული. არაბულ სახალიფოში კი ფათვას ავტორი ერთი ინდივიდის ნაცვლად ავტორიტეტული ჯგუფი გახდა, რომელიც შარიათის საფუძვლებზე დაყრდნობით რელიგიური თუ პოლიტიკური საკითხის შესახებ მისეულ თვალსაზრისს გამოხატავდა. არაბულ სახალიფოში ფათვების ძირითადი ნაწილი ეხებოდა რელიგიური რიტუალების შესრულებას, როგორიცაა განბანვა, მარხვა, ზაქათი, ჰაჯი. ასევე სოციალურ ურთიერთობებს, რომლითაც საოჯახო და საქორწინო ურთიერთობები რეგულირდებოდა. საინტერესოა, რომ სოციალურ და კულტურულ საკითხებს თანამედროვე პერიოდში გამოცემული ფათვებიც ეხება. მაგ., ფათვები, გამოცემული 1980 და 2010 წლებში განეკუთვნება სიმღერის დაშვებას, რადგან სიმღერა და მუსიკა არ იკრძალება ისლამის მიხედვით. თუმცა ამის საწინააღმდეგო ფათვა 2013 წელს ქაშმირის დიდმა მუფთიმ გამოსცა. ის კრძალავდა მუსიკას, როგორც არაისლამურ მოვლენას და ამით ქაშმირში მოქმედი ერთადერთი გოგონათა როკჯგუფი იძულებული გახდა, საქმიანობა შეეწყვიტა.[5]

როგორც აღინიშნა, ფათვის გამოცემის უფლება მოციქული მუჰამადის და ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას მმართველობის შემდეგ მიეცა მუფთის ანუ ისლამური სამართლისმცოდნე სასულიერო პირს. ეს თანამდებობა ომაელთა ხალიფა უმარ იბნ 'აბდ ალ-'აზიზის დროს გაჩნდა. მუფთი ხალიფას მრჩეველი იყო, თუმცა მოგვიანებით ყველა პროვინციაში დანიშნეს მუფთიები. მუფთის სტატუსი XV საუკუნეში შეიცვალა და სტამბოლის მთავარი მუფთი იმპერიის დიდი მუფთი გახდა, რომელსაც შაიხ ალ-ისლამი ანუ ისლამის უხუცესი ეწოდა. მას მიეცა უფლება, სულტნის სახელით გამოეტანა ფათვა.[6] ოსმალეთის იმპერიაში სულტნები ნიშნავდნენ მოადგილეებს, რომლებსაც რელიგიურ საკითხებში ფათვას გამოცემის უფლება მიეცათ. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ მუფთის თანამდებობა გაუქმდა და რელიგიურ საქმეთა სამმართველო ჩამოყალიბდა.

---

[2] "გთხოვენ - ფათვა მისცე მათ ქალთა თაობაზე. უთხარი: ალაჰი ფათვას მოგცემთ თქვენ მათ შესახებაც და იმაზეც, რაც წიგნიდან გეკითხებათ" (ყურანი, 4:126 (127).

[3] "შენ გთხოვენ ფათვას. უთხარი: ფათვას მოგცემთ თქვენ ქალალას თაობაზე ..." (ყურანი, 4:175 (176).

[4] ჯაფარიძე გ., და სხვები, "ფათვა", ისლამის ენციკლოპედია. (თბილისი, 1999), 186.

[5] DeHart, Jonathan, "Kashmiri All-Girl Rock Band Quits After Fawta", 2013 at https://thediplomat.com/2013/02/kashmiri-rock-band-quits-after-fatwa/ Accessed November 17, 2024.

[6] გელოვანი, ნ., შარიათი, 159.

თანამედროვე ისლამურ სამყაროში მუფთის თანამდებობა ახლაც არსებობს. საუდის არაბეთში მუფთის ნიშნავს მეფე. ასევე შაიხ ალ-ისლამი ყავს ომანს, ეგვიპტეს, ინდოეთს, ბრუნეის, პალესტინას[7], მალაიზიას, თუნისს.

შარიათის მიხედვით, ფათვას გამოცემის უფლება აქვს უმაღლეს სასულიერო პირს ან ისლამური განათლების მქონე ადამიანს. ამ პრინციპის მიხედვით, თუ ფათვას არ გამოსცემს შესაბამისი უფლების მქონე პირი, ის ფათვა არ ითვლება კანონიერად და მუსლიმებს არ ევალებათ ამ ფათვის შესრულება. ისლამისტური ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერებს რომ გადავხედოთ, აღმოჩნდება, რომ ყველა არ არის უფლებამოსილი, გამოსცეს ფათვა. ამის მიუხედავად, ისლამისტური ჯიჰადისტური რადიკალური დაჯგუფებების ლიდერები გამოსცემდნენ და გამოსცემენ ფათვებს და მათი წევრები უსიტყვოდ იღებენ მათ მოწოდებებს.

ალ-კაიდას ლიდერის, უსამა ბინ ლადენის მიერ გამოცემული ფათვები, ამ პრინციპის მიხედვით, არ ითვლება ისლამის შესაბამის კანონიკურ ფათვებად, რადგან ბინ ლადენს არ მიუღია რელიგიური განათლება და ის არ იყო სასულიერო პირი.

უსამა ბინ ლადენისგან განსხვავებით, ე. წ. ისლამური სახელმწიფოს ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი უფლებამოსილი იყო, გამოეცა ფათვა[8]. მან რელიგიური განათლება ბაღდადის ისლამურ უნივერსიტეტში მიიღო და დოქტორის ხარისხს ფლობდა ისლამურ თეოლოგიაში, ყურანის კვლევის მიმართულებით.[9]

ამის მიხედავად, უსამა ბინ ლადენმა ორი ფათვა გამოსცა 1996 და 1998 წლებში. [10] ბინ ლადენის ორივე ფათვა დასავლური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა მუსლიმებს.

დასავლეთის წინააღმდეგ ბინ ლადენისეული ფათვები არ არის ისლამის ისტორიაში პირველი ასეთი ტიპის განკარგულება. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რამდენიმე ფათვა გამოიცა დასავლური კოლონიალიზმის წინააღმდეგ 1803 და 1804 წლებში. ფათვების ავტორები ევროპული დომინაციის წინააღმდეგ ომისკენ მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ინდოეთსა და დას. აფრიკაში. ასევე,

---

[7] იერუსალიმში ორი მუფთი ეჯიბრებოდა ერთმანეთს: ერთს ნიშნავდა ბრიტანეთი, მეორეს - ოსმალეთის იმპერია. შემდგომ, დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში მუფთის პალესტინის პრეზიდენტი ნიშნავდა.

[8] 2014 წელს აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ შაიხ თურქი ბინალი მთავარ მუფთად დანიშნა. ბინალი წარმოშობით ბაჰრეინიდან იყო. მან განათლება პალესტინელ-იორდანელ თეოლოგთან, აბუ მუჰამად ალ-მაკდისისთან მიიღო. 2014 წლის დასაწყისში ბინალი სირიაში გაემგზავრა და მალევე გახდა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წევრი. მისმა რადიკალურმა იდეებმა და ქარიზმატულობამ მალევე მიიპყრო ალ-ბაღდადის ყურადღება. სწორედ ამიტომაც დანიშნა ბინალი მთავარ მუფთად. მართალია, მას ეს ტიტული ოფიციალურად არ მიუღია, თუმცა ის გახდა კვლევების და შესწავლის ოფისის (მაქთაბ ალ-ბუჰუუს ვალ-დირასაათ) ამირა. ამ ოფისს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ბანაკებში ფათვების მომზადება და სხვა რელიგიური ტექსტების შესწავლა და შემდგომ პრესაში გამოქვეყნება ევალებოდა.

[9] "Timeline: The Life and Death of Abu Bakr al-Baghdadi", Wilson Center, 2019, at https://www.wilsoncenter.org/article/timeline-the-life-and-death-abu-bakr-al-baghdadi. Accessed November 12, 2024

[10] Burke, Jason. Al-Qaeda: The True Story of Radical Islam (Penguin Books, 2007), 175. Esposito, John L. Unholy War: Terror in the Name of Islam (Oxford University Press, 2002), 21.

XX საუკუნეში 1904 და 1907 წლებში მაროკოში ულამამ ფათვები გამოსცა ფრანგული გავლენების წინააღმდეგ.

ფათვა წერილობითი ფორმისაა, აქვს შესაბამისი ფორმა და ის შედგება რამდენიმე ნაწილისგან: ყურანის ის აიები, რომელიც ფათვაში მოცემულ საკითხზე პასუხს იძლევა, პრეცენდენტები, ცნობილი მუსლიმი ავტორიტეტის მოსაზრება ამ საკითხზე და დასკვნა. დასკვნა უნდა მოიცავდეს მუფთის პოზიციას და ნათლად პასუხს სცემდეს თუ როგორ მოიქცეს მუსლიმი: შესაბამისი ქმედება დაშვებულია, რეკომენდებულია თუ აკრძალულია, შარიათის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ფათვა ინდივიდუალურია და კითხვის ავტორსა და მუფთის შორის ურთიერთობის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, შესაძლებელია, ფათვა განზოგადდეს და საჯარო გახდეს მუსლიმური თემისთვის - უმმასთვის.[11]

რაც შეეხება უსამა ბინ ლადენის მიერ გამოცემულ ორ ფათვას 1996 და 1998 წლებში, ეს ფათვები საჯაროა და კონკრეტულ მუსლიმს კი არ მიემართება, არამედ ყველა მუსლიმს მოუწოდებს ჯიჰადისკენ.

1996 წელს ბინ ლადენის მიერ გამოცემულ ფათვაში "ორი წმინდა ადგილის მიწის ოკუპანტი ამერიკელების წინააღმდეგ ომის გამოცხადება" წმინდა ადგილებში საუდის არაბეთის ორი ქალაქი: მექა და მედინა მოიხსენებოდა, რომლებიც ისლამის წმინდა ადგილებს წარმოადგენს და რომლებიც 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ "ურწმუნოების" ხელში აღმოჩნდა, ბინ ლადენის აზრით. ამერიკელების წინააღმდეგ ომის გამოცხადების მიზეზად უსამა ბინ ლადენი ფათვაში რამდენიმე ფაქტს ასახელებს და ამ ფაქტებს შორისაა წმინდა ადგილების "შერყვნა" "ურწმუნოების" იქ ყოფნით. "ისლამის ხალხი აგრესიისგან, უკანონობისგან და უსამართლობისგან იტანჯება სიონისტურ-ჯვაროსნული ალიანსისგან..." - აღნიშნავდა ბინ ლადენი ფათვაში და ყველა იმ კონფლიქტს ასახელებდა, რომელიც ბოლო წლებში მსოფლიოში მოხდა[12]. მას მაგალითებად მოყავდა კონფლიქტები ლიბანში[13], პალესტინაში, ერაყში, ქაშმირსა და სხვა ქვეყნებში. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ უსამა ბინ ლადენისთვის ყველაზე დიდი მტერი ამერიკის შეერთებული შტატები იმიტომ კი არ იყო, რომ ის აფინანსებდა მუსლიმების მოკვლას სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ იმიტომ, რომ ამერიკული სამხედრო ძალები საუდის არაბეთში იდგა.

უსამა ბინ ლადენის დაპირისპირება ამერიკასთან, როგორც აღინიშნა, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის ქუვეითზე თავდასხმის შემდეგ, ბინ ლადენმა საუდის არაბეთს დასაცავად დახმარება შესთავაზა. საუდის არაბეთის მეფემ სანაცვლოდ ამერიკელებისგან მიიღო დახმარება და სამეფოში ამერიკული სამხედრო დანაყოფები შევიდა. ამერიკელების საუდის არაბეთში შესვლამ, ბინ ლადენის აზრით, ქვეყანაში მდგომარეობა შეცვალა.

უსამა ბინ ლადენი ამერიკის საუდის არაბეთში ყოფნას "ჯვაროსნების" მიერ წმინდა მიწის ოკუპაციას უწოდებდა, ჯვაროსნების წინააღმდეგ კი ომს ანუ ჯიჰადს

---

[11] გელოვანი, ნ., შარიათი, 157-158.

[12] Porter, J.M.B. "Osama Bin-Laden, 'Jihad' and The Sources of International Terrorism." The Sources of International Terrorism 13, no. 3 (2003): 880.

[13] 1996 წლის 18 აპრილს ლიბანში კანასთან ახლოს ისრაელის სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს გაეროს კომპლექსს, სადაც 800 ლიბანელი სამოქალაქო პირი აფარებდა თავს. თავდასხმის შედეგად 116 ადამიანი დაიღუპა.

აანონსებდა, რასაც მუსლიმთა ვალდებულებად თვლიდა. პორტერი წერს, რომ აშშ 1991 წლის სპარსეთის ომის დროს და შემდეგ გახდა ჯვაროსანი ბინ ლადენისთვის.[14]

ისლამის ისტორიაში ჯვაროსნების წინააღმდეგ მუსლიმთა ომი იერუსალიმის დაკავებას უკავშირდება. მუსლიმები ჯვაროსნებს ისეთივე მტრებად მიიჩნევდნენ, როგორც სხვა დამპყრობლებს. ეგვიპტელი ფატიმიანებისთვის, რომლებიც იერუსალიმს XI საუკუნის 90-იან წლებში აკონტროლებდნენ, ჯვაროსნები სელჩუკების დასამარცხებლად სავარაუდო მეკავშირეებს წარმოადგენდნენ. [15] იერუსალიმი ასევე წარმოადგენდა ეგვიპტის ფატიმიანების და აბასელთა კონფლიქტის მიზეზს, რითიც ისარგებლეს სელჩუკებმა და იერუსალიმი დაიკავეს. ლუისი წერს, რომ სალადინის მიერ 1187 წელს ჯვაროსნების დამარცხება და იერუსალიმის დაკავება დღესაც არაბებში სიამაყის გრძნობას აღძრავს. [16] სალადინის მიერ ჯვაროსანთა წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებას რამდენიმე მოვლენა უძღოდა წინ, რაც იერუსალიმის აღებით დასრულდა. კერაკის ჯვაროსანი ლორდი, რენო დე შატილიონი თავს ესხმოდა მუსლიმთა ქარავნებს, და მათ შორის მექისკენ მიმავალი ქარავანიც გახდა მისი სამიზნე, რითიც არღვევდა მასა და სალადინს შორის დადებულ შეთანხმებას. სწორედ ამ ხელშეკრულების დარღვევის საპასუხოდ გამოაცხადა ჯიჰადი სალადინმა და იერუსალიმი დაიკავა. [17] შუა საუკუნეების მუსლიმი ავტორები ამ კონტექსტში წერენ იერუსალიმის აღების შესახებ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.[18]

ჯვაროსნების წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადება ისლამის ისტორიაში ასევე უკავშირდება მუსლიმ თეოლოგს იბნ თაიმიას, რომელიც ჯვაროსნებს და მონღოლებს ებრძოდა. მან ხარიჯიტების ტრადიცია გააცოცხლა, რაც ისლამის წესების დამრღვევი მუსლიმი მმართველების წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებას ამართლებდა. იბნ თაიმიასთვის ასეთი უზურპატორი მმართველები იყვნენ მონღოლები, რომლებმაც მართალია, ისლამი მიიღეს, მაგრამ კვლავ აგრძელებდნენ საკუთარი არაისლამური წესებით მართვას. შესაბამისად, იბნ თაიმიამ მათ წინააღმდეგ გამოსცა ფათვა და მუსლიმებს ჯიჰადისკენ მოუწოდა.

უსამა ბინ ლადენზე განსაკუთრებული გავლენა ჯიჰადის კონცეფციასთან დაკავშირებით მაინც ორ ადამიანს უკავშირდება: ეგვიპტელი მოაზროვნე და "მუსლიმი ძმების" დაჯგუფების ლიდერი, საიდ კუტბი და ისლამისტური დაჯგუფების "ალ-ჯიჰადის" წევრი, მუჰამად ფარაჯი. საიდ კუტბი სალაფიტური ჯიჰადის იდეოლოგიის მამად იწოდება. აღსანიშნავია, რომ მისი ძმა, მუჰამად კუტბი, უსამა ბინ ლადენის ლექტორი იყო საუდის არაბეთში სწავლისას. სწორედ მუჰამად კუტბისგან შეიმეცნა ბინ ლადენმა საიდ კუტბის იდეები. მათ შორის იყო ჯიჰადის კუტბისეული კონცეფცია, რომელიც ამართლებდა ადამიანების მოკვლას მთავარი მიზნის მისაღწევად. ეს მიზანი კი ისლამის გავრცელება იყო. საიდ კუტბისთვის მუსლიმი მმართველი, რომელიც შარიათის წესების გარეშე მართავს,

---

[14] Porter, "Osama Bin-Laden", 872.

[15] Lewis, Bernard. Islam in History: Ideas, People, And Events in the Middle East, (1993): 116-117.

[16] Lewis, B. The Crisis of Islam: Holy War and Unholy Terror (New York: Random House, Inc., 2004), 48-49.

[17] Lewis, B. "License to Kill: Usama Bin Ladin's Declaration of War". Foreign Affairs 77, (1998):18.

[18] Porter, "Osama Bin-Laden", 876.

ურწმუნოა და მის წინააღმდეგ ბრძოლა მუსლიმების ვალდებულებაა. მსგავსი იდეოლოგიის მატარებელია მუჰამად ფარაჯი, რომელმაც ნაშრომში "არარსებული მოვალეობა" ნათლად ასახა მუსლიმთა ბრძოლის ვალდებულება ურწმუნო მმართველის წინააღმდეგ[19]. 1981 წელს მუჰამად ფარაჯის დაჯგუფება "ალ-ჯიჰადმა" "დასაჯა" ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ ას-სადათი, რომელიც იერუსალიმში ჩავიდა და ისრაელის სახელმწიფო აღიარა[20].

უსამა ბინ ლადენი საკუთარ ფათვებში, რომელსაც "ლადენისეულ ეპისტოლეებს" უწოდებენ, ამერიკელების წინააღმდეგ ომისკენ მოუწოდებს მუსლიმებს. 1996 წელს გამოქვეყნებულ ფათვაში ალ-კაიდას ლიდერი ამერიკელი ჯარისკაცის მოკვლისკენ მოუწოდებს და ამით თითქოსდა იცავს ჯიჰადის კონცეფციას, რომლის თანახმად ჯიჰადის დროს მუსლიმს ეკრძალება ბავშვების, ქალები, მოხუცების, ავადმყოფების და უიარაღო ადამიანების მოკვლა. თუმცაღა მოგვიანებით, 1998 წელს გამოქვეყნებულ ფათვაში "ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ჯიჰადის მსოფლიო ისლამური ფრონტის დეკლარაცია" უსამა ბინ ლადენი აცხადებდა, რომ ნებისმიერი ამერიკელის მკვლელობა, სამხედროსი თუ სამოქალაქოსი, ყველა მუსლიმის ვალდებულება იყო. სამოქალაქო პირებს ის ბრალს დებდა იმ ტიპის ხელისუფლებების არჩევაში, რომელიც შემდეგ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონფლიქტებში აქტიურად მონაწილეობდა.

> "ნებისმიერი ამერიკელის და მისი მოკავშირეების მოკვლა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, თითოეული მუსლიმის ვალდებულებაა ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კი ეს შესაძლებელია, სანამ ალ-აკსას მეჩეთი და ჰარამის მეჩეთი გათავისუფლდება მათგან და სანამ მათი ჯარები .... დატოვებენ ისლამის მიწებს და ვეღარ შეძლებენ მუსლიმებისთვის საფრთხის შექმნას".[21]

1998 წელს გამოქვეყნებული ფათვა, რომელიც "ალ-კუდს ალ-'არაბის" რედაქციას ფაქსით მიაწოდეს, საუდის არაბეთში ამერიკული სამხედროების ყოფნას, ამერიკის მხრიდან ისრაელის მხარდაჭერას და ერაყის წინააღმდეგ ამერიკული სანქციების დაწესებას გმობდა.

1998 წელს გამოცემულ ფათვას ხელს აწერდნენ აიმან აზ-ზავაჰირი (ისლამური ჯიჰადი ეგვიპტეში), აჰმად რიფაი ტაჰა, იგივე აბუ იასირი (ალ-გამა'ა ალ-ისლამია ეგვიპტეში), მირ ჰამზა (ჯამ'იათ ალ-ულამა-ე-პაკისტანი), ფაზულ რაჰმანი (ჰარაქათ ალ-ჯიჰად ალ-ისლამი პაკისტანში). ხელმომწერები შეადგენდნენ ერთიან ჯგუფს სახელად "ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ჯიჰადის ისლამური ფრონტი".

უსამა ბინ ლადენის ფათვებში სამი ძირითადი ტერიტორიაა აღნიშნული, როგორც ჯვაროსნების აგრესიის სამიზნე: არაბეთი, ერაყი და იერუსალიმი. ამ სამიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ბინ ლადენი მაინც საუდის არაბეთს ანიჭებდა. ის აღნიშნავდა, რომ მოციქულის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმების

---

[19] Murur, Mahmud. Jamaat al-'unf 1958-1998 min an-nash'a ila mobadarati waqf al-'anf, (Cairo), 78.

[20] Dunn, M.C. "Fundamentalism in Egypt", Middle East Policy 11 (1993):69.

[21] Lewis, "License to Kill", 15.

წინააღმდეგ უდიდესი და უკანასკნელი აგრესია არის ორი წმინდა ადგილის ოკუპაცია, ანუ იმ ადგილების ოკუპაცია, სადაც ისლამი დაარსდა, ქააბას ტაძარი - მუსლიმთათვის კიბლას რომ წარმოადგენს, მდებარეობს. ჯვაროსნების ანუ ამერიკელების საუდის არაბეთში ყოფნამ სამეფოში მდგომარეობა შეცვალა, როდესაც წერდა ბინ ლადენი, გულისხმობდა იმას, რომ ქვეყანაში ბევრი მუსლიმი მეცნიერი და მქადაგებელი დააპატიმრეს ამერიკის რჩევით. 1996 წლის ფათვაში ის წერდა: "მათ მოკლეს მუჯაჰიდი შეიხ აბდალლა აზზამი, შაიხ აჰმად იასინი იერუსალიმში დააპატიმრეს და მუჯაჰიდი შაიხ ომარ აბდ არ-რაჰმანი ამერიკაში მოკლეს ისევე, როგორც ამერიკის რჩევით, მეცნიერების, მქადაგებლების და ახალგაზრდების დიდი რაოდენობა დააპატიმრეს საუდის არაბეთში".[22]

საუდის არაბეთში დაპატიმრებულ მეცნიერებს შორის ბინ ლადენი ცალკე გამოყოფდა შაიხ სალმან ალ-'ავდას[23], შეიხ საფარ ალ-ჰავალის[24] და მის ძმებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბინ ლადენი მხოლოდ აბდალლა აზზამსა და უმარ აბდ არ-რაჰმანს მოიხსენიებს მუჯაჰიდებად. მუჯაჰიდი არაბულ ენაში ძირიდან ჯიჰადი წარმოდგება და მებრძოლს ნიშნავს ანუ იმ ადამიანს, ვინც ჯიჰადში მონაწილეობს. უმარ აბდ არ-რაჰმანი (1938-2017), რომელსაც "უსინათლო შაიხს" უწოდებდნენ, ეგვიპტეში მოქმედი "ალ-გამა'ა ალ-ისლამიას" ფუძემდებელი და აბდალლა აზზამის მოსწავლე იყო. აბდ არ-რაჰმანი სასჯელს იხდიდა ეგვიპტის ციხეში იმ ფათვის გამოცემის გამო, რომელიც გახდა 1981 წელს ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ ას-სადათის მკვლელობა. რაც შეეხება აბდალლა აზზამს, ის არის ავღანეთში მებრძოლ მუჯაჰედთა დასახმარებლად "მაქთაბ ალ-ხადამათ" ორგანიზაციის დამფუძნებელი.

უსამა ბინ ლადენის ფათვები წარმოადგენს დოკუმენტებს, რომელიც ძალადობას ისლამის წესებით ამართლებს. 1996 და 1998 წლებში გამოცემული ფათვები ისეთ რიტორიკას მოიცავს, რომელიც საშუალებას აძლევს გლობალური ჯიჰადისტური მოძრაობის წევრებს საკუთარი ძალადობრივი ქმედებები გაამართლონ. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები იმ მჩაგვრელებადაა გამოცხადებული, რომლებიც მუსლიმებს ესხმიან თავს. შესაბამისა, მათ წინააღმდეგ ჯიჰადში გაერთიანება მუსლიმთა ვალდებულებაა.

---

[22] "Osama Bin laden's Declaration of Jihad Against Americans", Salem Press, http://salempress.com/store/pdfs/bin_Laden.pdf Accessed October 10, 2024.

[23] სალმან ბნუ ფაჰდ ბნუ 'აბდ ალ-ლაჰ ალ-'ავდა (1956 -) - საუდელი მეცნიერი, მქადაგებელი და ჟურნალისტი. ის არის IslamToday-ის არაბული გამოცემის დირექტორი და მუსლიმ მეცნიერთა საერთაშორისო კავშირის სამეურვეო საბჭოს წევრი. 1994 წელს სალმან ალ-'ავდა, დისიდენტური საქმიანობის გამო, დააპატიმრეს და ციხეში ხუთი წელი გაატარა. 2017 წელს ის კვლავ დააკავეს იმ სხვა მუსლიმ მეცნიერებთან ერთად, რომლებმაც უარი თქვეს, საჯაროდ მხარი დაეჭირათ ქვეყნისთვის კატართან კრიზისის დროს. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

[24] საფარ ბნუ 'აბდ არ-რაჰმან ალ-ჰავალი ალ-ღამიდი (1950 -) - მექელი მეცნიერი და საჰვას მოძრაობის დაფუძნებელი. 1993 წელს ალ-ჰავალიმ ალ-'ავდასთან ერთად ხელისუფლების საწინააღმდეგო კანონიერი უფლებების დაცვის კომიტეტი ჩამოაყალიბეს, რის გამოც ორივე 1994 წელს დააპატიმრეს. 2018 წელს ის ოთხ ვაჟთან და ძმასთან ერთად კვლავ დააპატიმრეს წიგნის "მუსლიმები და დასავლური ცივილიზაცია" გამოცემის გამო, რომელშიც პრინც სალმანს და სამეფო ოჯახს აკრიტიკებდა ისრაელთან კავშირების გამო.

უსამა ბინ ლადენის ეს ფათვები ალ-კაიდას დაჯგუფებისთვის წარმატებული იდეოლოგიური იარაღი გახდა, რამაც ხელი შეუწყო ახალი წევრების მოზიდვას და საბოლოოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების განხორციელებას.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

ჯაფარიძე გოჩა, კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე. *ისლამის ენციკლოპედია.* თბილისი: "ნეკერი", 1999.

გელოვანი, ნანი. *შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი.* თბილისი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024.

ყურანი, თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ. თბილისი: კავკასიური სახლი, 2006.

"An Analysis of Al-Baghdadi's 26 August 2019 Audio Speech." *www.durham.ac.uk.* http://www.durham.ac.uk/media/durham-university/reserach-/research-centres/open-world-research-initiative-owri/documents/research-subprojects/transient-identities/briefing-papers/BPVII-AnAnalysisofAl-Baghdadis26August2019AudioMessage.pdf. Accessed September 20, 2024

Burk, Jason. *Al-Qaeda: The True Story of Radical Islam.* Penguin Books, 2007.

DeHart, Johnathan. "Kashmiri All-Girl Rock Band Quits After Fatwa." *The Diplomat.* February 6, 2013. http://thediplomat.com/2013/02/lashmiri-rock-band-quits-after-fatwa/ Accessed November 17, 2024.

Dunn, M.C. "Fundamentalism in Egypt", Middle East Policy 11 (1993):68-74.

Esposito, John L. *Unholy War: Terror in the name of Islam,* Oxford University Press, 2002.

Lewis, Bernard. *Islam in History: Ideas, People, and Events in the Middle East.* Chicago: Open Court, 1993.

Lewis, Bernard. "License to Kill: Usama Bin laden's Declaration of Jihad", *Foreign Affairs* 77 (1998): 14-19.

Lewis, Bernard. *The Crisis of Islam: Holy War and Unholy Terror.* New York: Random House, Inc., 2004.

"Osama Bin laden's Declaration of Jihad Against Americans", Salem Press, http://salempress.com/store/pdfs/bin_Laden.pdf Accessed October 10, 2024

Porter, J.M.B. "Osama Bin-Laden, 'Jihad' and The Sources of International Terrorism." *The Sources of International Terrorism* 13, no. 3 (2003): 871-885.

"Timeline:The Life and Death of Abu Bakr al-Baghdadi." 2019. http://www.wilson center.org/article/timeline-the-life-and-death-abu-bakr-al-baghdadi. Accessed November 12, 2024.

Murur, Mahmud. Jamaat al-'unf 1958-1998 min an-nash'a ila mubadarati waqf al-'anf, (Cairo), 78. (in Arabic).